ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

- ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
- სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქალაქი ზუგდიდი 29 სექტემბერი 2017 წელი

პრეამბულა

ერთის მხრივ, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი გოგოხიას (იურიდიული მისამართი: ქ.ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი N45, საიდენტიფიკაციო კოდი 220416976) სახით, (შემდგომში „პირველ მხარე"–დ წოდებული), მეორე მხრივ, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი რექტორი, პროფესორი ერმილე მესხიას (იურიდიული მისამართი: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N37, საიდენტიფიკაციო კოდი 245628496) სახით (შემდგომში „მეორე მხარე"–დ წოდებული) და მესამე მხრივ, ზუგდიდის სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის ზურაბ ეგუტიას (იურიდიული მისამართი: ზუგდიდი, თეატრის ქ. N2, საიდენტიფიკაციო კოდი 219985194) სახით, (შემდგომში „მესამე მხარე"–დ წოდებული) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მემორანდუმის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას გამოიყენონ ყველა რესურსი, შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მხარეები თანხმდებიან, რომ სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის შემოქმედებითი პოტენციალის გასაზრდელად და მისი წარმატებული მომავლის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს თამაშობს თეატრის დასი, რომელიც საჭიროებს ახალგაზრდა მსახიობებით შევსებას.

მემორანდუმის მიზანია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობა, სწავლის პერიოდში ყოველწლიური საფასურის სრულად ჩარიცხვით სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშზე, მათი შემდგომში ზუგდიდის სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში დასაქმების მიზნით, ინსტიტუტის დამთავრებიდან მინიმუმ 4 (ოთხი) წლით.

პირველი მხარე - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას ამ მემორანდუმის მიზნების მხარდაჭერის მიზნით, გამოყოს ფინანსები ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ყოველწლიურად გადარიცხოს სტუდენტების სწავლის საფასური სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ანგარიშზე.

მერია 220416976

მეორე მხარე - სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას ყოველწლიურად სასწავლო წლის დაწყებამდე მიაწოდოს სრულყოფილი სია სტუდენტების რაოდენობის შესახებ. ასევე სწავლის გადასახადსა და სტუდენტების შენადგენლობაში განხორციელებული ცვლილების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მესამე მხარე - აცხადებს მზადყოფნას განახორციელოს კონტროლი სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიმდინარეობაზე, უზრუნველყოს მათი პრაქტიკის კურსის გავლა და სწავლის დასრულების შემდგომ მათი დასაქმება ზუგდიდის სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში.

მხარეები მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში ითანამშრომლებენ მემორანდუმის საგანში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მხარეები თანხმდებიან, რომ ხელს შეუწყობენ მემორანდუმის მიზნების განხორციელებას, რათა გამართლდეს მათი მოლოდინი.

მემორანდუმი შესაძლებელია ჩასწორდეს, ან შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მემორანდუმი ძალაში შევა სამივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის სრულად დასრულებამდე.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე 4(ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში (კანცელარია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 220416976
მისამართი: ქ.ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზ.№45

ირაკლი გოგობია
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: **245628496**
მისამართი: ლუკა ასათიანის ქ. N37
საიდენტიფიკაციო კოდი:**245628496**
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **708897289**
დანიშნულება: სწავლის საფასური

ერმილე მესხია
სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი

სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 219985194.
მის.ქ. ზუგდიდი, თეატრის ქ.№2

ზურაბ ეგუტია
სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული
დრამატული თეატრის დირექტორი